უბრალო იარაღათ. განა ჩვენ იმას კი არ ვფაქრობთ, ვი-
თომ ინდივიდი ოდესმე სრულიად დამოუკიდებელი იყო
საზოგადოებისა და მის მიერ შექნილ პირობებისაგან.
ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ადამიანი „სოციალური ცხოვე-
ლია“, მაშასადამე მისი ცხოვრება უსაზოგადოებოთ შეუ-
ძლებელი უნდა ყოფილიყო ყოველთვის. მოუხედავთ ამი-
სა, ჩვენ შევვიძლია ახლანდელი ადამიანი წარსულ ხანა-
თა ადამიანის შედარებით საზოგადოების სრულ მონათ
აღვიაროთ.

თანამედროვე კაპიტალისტურმა ხანამ სრულიად ჩან-
თქა ინდივიდი. წარმოების ორგანიზაცია დაფუძნდებულია
შრომის განაწილების პრინციპზე. ოჯახის ავტონომია,
რომელიც ნატურალური ხანის ნიშნობლივ მხარეს შეად-
გენდა, ჩვენ ცხოვრებაში სრული ანარქინიზმი ვამხდარა.
წარმოების სხვა-და-სხვა დარღვი ისე არიან ერთი-ერთ უ-
ზე გაღამართულნი, რომ ერთი დარგის დაცემა და უკან
დაწევა იწვევს მწარე ტკივილებს მოელ ორგანიზმი.
თანამედროვე სახელმწიფოს შემაღებელნი ადამიანი
ცალ-ცალკე რომ გავითვალისწინოთ, შედარებით უძლურ
რამეს წარმოადგენენ, მხოლოდ შეერთებული ძალით ბა-
დავენ ყოველ იმ სასწაულებას ადამიანთა ცხოვრების გა-
უფასობებობის საქმეში, რომლის მოწმე ჩვენა ვართ.

ფეოდალურ ხანაში ადამიანის ცხოვრება შედარებით
უზრუნველი იყო, თუმცა მის კეთილ-დღეობას ხელს უშ-
ლიდენ ბუნებრივი მოსუსავლელობა ანდა გარეშე მტერ-
თან ომიანობა, მაგრამ საზოგადოთ მას თამამათ შეეძლო
დანდობოდა თავის ძალ-ღონეს. დღეს კი რას ვხედავთ?
ინტენსიურმა მიწის დამუშავებამ შესამჩნევათ შესასუტა
მოუსავლობის გამომწვევი მიზეზები, თანაც ომიანობა
შედარებით იშვიათათ ხდება, მხოლოდ ადამიანი თან-და-
თან უფრო ნაკლების იმედით უცქერის თავის მაჯას.
ცხოვრება იმდენათ გართულდა და ტერიტორიალურათ
გაფართოვდა, რომ საზოგადოებრივ მოვლენათა მიზეზ-
შედეგის კვლევა-ძიება თავ-სამტვრევ საგნათ გახდა. ავი-
ლოთ თუნდ ახლანდელი კრიზისები. თუ კი წინეთ შემ-
შილობა იმით აიხსნებოდა, რომ პური ნაკლები მო-
დიოდა, დღეს უმთავრეს სამრეწველო ქალაქებში შიმში-
ლობა უნდა აიხსნას იშით, რომ საქონელი ნამეტანი ბევ-
რი დაუშეადებიათ. დღევანდელი მწარმოებელი სრულიად
დამოკიდებულია საქვეყნო ბაზარზე, ხოლო ეს უკანასკან



ნელი მეტის-შეტი ცვალებადია, რასაც გვმოტკიცებს მისი გამომხატველი ბირჟა. ადიმინისტრაციული განვითარებისათვის ერთი რომელიმე სახელმწიფო ით, პირ იქით, სამოქმედო ასპარეზი კარგავს ყოფელივე საზღვარს და საერთაშორისო ხდება.

საზოგადოების შემადგენელ წევრთა ურთიერთი დამკიდებულება, მჭიდრო კავშირი მათ შორის და აქედან თვითონა მათგანის უძლეურება ცალკე აღებულით, ხშირათ იწვევდა მწვავე ინტერესს მეცნიერთა შორის. მათ შორის გრძელება სპეციალისტთა უნდა იქნას აღიარებული პირველ მეცნიერათ, რომელმაც მიაქცია ჯეროვანი ყურადღება ამ მოვლენას; მან შეიტანა სოციალოგიურ დისკიპლინაში ერთი ახალი თეორია, რომელიც ცნობილია ევროპიულთა შორის „ორგანიულის“ სახელით. ჩვენ არ ვეხებით ამ თეორიის უკიდურესობას და უსაფუძვლობას, ჩვენი საქმეა დავაკვირდეთ ოუ აიმდენათ გამოხატავს იკი (ე. ი. თეორია) არსებულ სინამდვილეს. სპეციალის თეორიით საზოგადოება ემზადება ცალკე ცხოველის ორგანიზმს. იგი შედგება უწფალავი ნაწილებისაგან და იზრდება ამ ნაწილების გამრავლებით; საზოგადოების წარმოშობის პირველ ხანებში კავშირი ამ ნაწილთა შორის ძლიერ სუსტია, და რაც დრო გადის, მით უფრო მაგრძება ეს კავშირი,—ბოლოს ეს ცვლილება ევოლუციის კანონის მიხედვით იღწევს განვითარების ისეთ ხარისხს, რომ ნაწილი ყოველ-მხრივ დამოკიდებულია მთელზე. როგორც ცხოველის აგებულებაში ცალკე უჯრედის სიცოცხლე სრულიად დამოკიდებულია მთელზე, ასეთია ინდივიდის როლი საზოგადოების ორგანიზმში; ერთი ნაწილი იხოცება, მეორე იძალება, მხოლოდ თვით საზოგადოება ცოცხლობს მრავალ საუკუნეთა განმავლობაში. ერთი სიტყვით, საზოგადოება ყველაფერია, ინდივიდი არაფერი.

მოსალოდნელი იყო, რომ ინდივიდის ასეთი დაბეჭიდება ეკონომიურ სარბილზე დაახენდა თავის კვალს კაცობრიობის იურიდიულ-მორალიურ განწყობილებაზე. ინდივიდი თავის კერძო ცხოველებაში ხელმძღვანელობს საზოგადოების მიერ დადგენილ ჩვეულებით, უფლებით და მორალით; ამ უკანასკნელია ბატონობას იგი გრძელობს ყოველ ნაბიჯზე. სასტრიკი შეტაკება ინდივიდის სულიერი მიღრეკილების და საზოგადო მოვალეობის შორის ჩვეულებრივი მოვლენა ხდება; ეს შეტაკება უმეტეს ნაწილთა თავდება ინდივიდის სრულიად მორალურათ დამარცხებით. ასეთი არა სასურველი პირობები ინდივიდის უფრესი მრავალ-უერობა, მისი ინტენსიფიკაცია სუსტდება, სუსტდება აგრეთვე ჯიბრობა ადამიანთა შორის საერთო ასპარეზზე¹⁾.

აი, სწორეთ ეს საყველთაო ტენდენცია, რომლითაც გაეღმინილია განათლებული კაცობრიობის ცხოველება და რომელმაც გარდაქმნა ინდივიდი არარაობათ, დაედვა სარჩელათ ფრივირის ნიცის ფილოსოფიას. ნიცის უკიდურესი ინდივიდუალიზმი, რომელზედაც ჩვენ ქვევით გვეწება ბაასი, წარმოადგნს სრულ რეაქციას თანამედროვე იურიდიულ-სარწმუნოებრივ მორალურ დამკიდებულებათა წინააღმდეგ. რასაკვირველია, ინდივი-

დუალიზმი ახალ რამ მოვლენას არ წარმოადგენს მწერლობაში, ჩვენ კარგათ ვიცით, რომ პირველათ ეს მიმართულება ჯეროვანათ იქნა დაუქმნებული ცნობილ ეკონომისტის ადამ სმიტიაგან; ეს მიმართულება მე-XVIII საუკუნის საფრანგეთმა კიდევაც აღარა თავის დევიზთ სხვილ-მწარმოებელ ლეჟანდრის პირით—Laissez nous faire! არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ინდივიდუალისტები პრინციპისალურათ უარს ყოფდენ საზოგადო მოგანიზაციის და მისგან გიმოწვეულ ურთიერთშორის დამკიდებულების აუცილებელ მნიშვნელობას. ისინი თხოულობენ თავისუფლებას ეკონომიკურ ნიადაგზე და ისიც, უმთავრესათ გამოიხატება „პროტექციონიზმის“ გაუქმებით. ინდივიდუალიზმის ფრიად საპატიო აღაგი ეჭირა აგრეთვე რომანტიულ ლიტერატურაშიც. ამას გვიმოწმებს ტეოდალ ციკლები, როდესაც ამბობს: «რომანტიზმში ძლიერ ნათლათ გამატყდა ინდივიდუალიზმი»²⁾. მხოლოდ ეს ინდივიდუალიზმი წარმოადგენს ცოტა არ იყვეს ცინიკური თვით-ნებობის ქადაგებას.

სულ სხვა ნიცის ინდივიდუალიზმი. ნიცი უცხადებს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ყოველივე იმსა, რაც კი კაცობრიობას თავის დევიზათ დაუსახავს; იგი აღმერთებს ინდივიდ მაშინ, როდესაც საზოგადოებას მიწასთან ასწორებს... ჩვენ უკვე მივადექით ნიცი ზე მომდევ თავში.

სამშობლოს ცალკე.

ა. ჩერცელი. იმავე კლიაუზი ვინმე გამოდგა, ბატონებო, ეს 1901 წელიწადი! ცხვირი რა არის, ცხვირიც კი ველარ დამიცემინებია გაბედვით, რომ ადვიკატის პორტფელში არ გადავვარდე თავდაყირა. სწორეთ ასეთი საჯაყი საქმე დამართებორთ თვილისის მოქალაქეთა სამხართველოს. ჯერ იყო და მაცეს „პოსუდში“ მისი წინანდელი მამასახლისი. ეგონათ ამით გათავდებოდა საქმე, მაგრამ შენ არ მომიკედე! ზემოხსენებული საბრალ-მდებლო სკამი სწორეთ მაგნიტი გამოდგა. და მალე შესკუპდება მაზე მეორე მამასახლისი ბ-ნი ოსიტოვიც. ეს მეორე ზეარაკი თვითონ შვილებს მიაქვთ სამსევირპლოზე; თუმცა მისი დანაშაული დიდათ განირჩევა პირველი ზეარაკის დანაშაულობისაგან. პირველს თუ ბრალათ ედებოდა სხეა-და-სხეა ბოროტ-მოქმედება, მეორეს ბრალათ ედება სხეა-და-სხეა ბოროტების გამომეღავნება. მოგეხსენებათ, ბ-ნმა ოსიტოვმა თხოვა აღილობრივ მაბერობას, გამათავისუფლეთ ჩემი თანამდებობისაგან, რადგანაც სამხართველოს საქმეები ისეა არეული, რომ შეუძლებელია რათი გაგება, მეორეც ესა თვით მოსამსახურენიც არ არიან კეთილ-სათნოიანი და სანდონიო. სათნოების აღსაღენათ სამხართველოს მოსამსახურეთ მიმართეს იპავე მთავრობას და განაცადეს, ამგვარი შეურაცყოფისთვის შეურაცყოფელი ოსიტოვი მიცენ სამართლში. რით გათავდება ეს ერთი-მეორის „პოსუდში“ მიცემა, ამას შემდეგი გვიჩვენებს; მაგრამ ცოტაოდნენ რამაც შევიძლია გამოვიკინოთ. ამ დღეებში ერთ ძღვილობრივ რუსულ გაზეთში ზემოხსენებული სამხარ-

¹⁾ ეს პირობები ჯეროვანა ხსნიან იმ მოვლენას, რომ შემცირდება საზღვრის სოციალოგიური თეორიებისა სახეობის თავის უმთავრეს დანიშნულება ინფიციის სოციალოგიურ განვითარება.

1901.

²⁾ ა. „Умственныи и общественныи теченија XIX თол.“ Тебальдъ Циглеръ გვ. 42.

ველოს მდინარეთ ნამყოფი აცხადებს საყურადღებო ცნობებს სამმართველოს საქმეებიდან. ამ შესანიშნავ საქმეებში მოიპოვება ოურმე საკვირველი თავ-განწირვა სამსახურისათვის; აქ წაკითხავთ თქვენ, რომ რამდენმე მოსახურე პირი იძლევა საკუთარ ხელმოწერილ «პირზას», რომ ამიერიდან თავს ანებებს ღვინო-არაყის სმას, აღარ ილოთებენ და ყუველთვის თავის დროზე «უპახმელით» გამოცხადდებინ სამსახურში. არ ვიცი, ამ თავგანწირულ იღთქმისათვის მოქმატათ მათ ჯამაგირი თუ არა, ხოლო იმავე საქმეებიდან ჩანს, რომ სამმართველოს „შემოსაგალ-გასავლის“ დავთარიც რაღაც ბნელეთი ყოფილა! ბევრი ჩაშვებული ამ ბნელეთში და ბევრი გაშვებული იქიდანვე, მაგრამ ისე კა, რომ შემომტან-გამტანის მეტი ვერავინ გაიგებს ვერც «პოდეზდს» და ვერც «ჩორნი ხოდს».

* * *

აგრე ეს მეორე წელიწადი მიღის, რაც ქიზიყელებს ერთი მკედარი გაჯიუტებიათ და ვერ დაუმარხავთ. ეს ჯიუტი გვამი გახლავთ იქაური ნეტარხსენგებული „დეპო“. დიახ, ვერ იქნა და ვერ მოესწრენ ქიზიყელები მის «ლიკვიდაციას». «სალიკვიდაციო» კომისია ქახის დეპოს წევრებს, ეხვეწება, ემუდარება, მოღით „ნახეთ ვენა ხიო“, მაგრამ, შენ არ მომიკვდე, ქიზიყელები იქ ვეღარ მიიტყუან! „ქრწილში სხვები ქეითობდენ და ჩვენ ქელებში რა ვეინდაო“ უთვლიან ლიკვიდაციის კომისიას დეპოს წევრები; მაგრამ ქელებიც ირს და ქელებიც! არის იმისთანა ქელები, საცა ფერდებს ამორფებ და არის ისეთიც, რომ კუბოს ფულს შენ თათონ გამოგალებინებენ. აი ამისთანა ქელებს იწვევენ ქიზიყელებს და რომელი რმათვანი გაქიზიყელდება, რომ დაესწროს ამისთანა სახიფათო ზეიმს! საკვირველი ის არის რომ, რადესაც ცოცხალი იყო ეს დიდებული გვამი, ის თავისთავათ და ჩუგათ მიძერებოდა საფლავში (ესე არა «კუჭა») ხოლო ქელა კი, როდესაც საფლავიდან იყურება, აღარავინა ჩანს წამერაგველი გვამისა. ჩანს სრულებათ დაცარიელებული „დეპოს“ ამბარი, რომ „ვირთვებიც“ კი აღარ უდგებიან ახლა, თუცა დიდი ღვაწლი მაუძღვის განსვენებულს მათ წინაშე!

* *

მაკმაღმა მაკმაღინებს ერთ უპირველეს მცნებათ დაუწერა, რომ არ მიერებოდენ ბახუსს. ნეტი რას ეტყოდა ახლა წინასწარმეტყველი მართლმორწმუნეთ, რომ წაკითხა ფინანსთა სამინისტროს სტატისტიკა, საღამაც ჩანს, რომ ყველაზე მეტათ რასეთში ლოთობა ყოფილი გაერცელებული ბაქოს გუბერნიაში, ამ მუსულმანთა პროვინციაში. ბალახანასა და ნავთის სამრეწველო აღილებში თითო კაცი წელიწადში სვამის თურმე 10 ვედრო არაყის, 10 ვედრო ლუდს და 20 ვედრო ლუდს! (=40 ვედ.) დიახ, არ იციდა მაკმაღმა, რომ საქმარისი იყო მუსულმანთა მიღამოში ამართულიყო ახალი კერპი, და მისი მცნებაც გაიძეოდა ჰაერში! საქმარისი იყო რაღაც მანქანის ატაკება, რომ მტკრათ გადაქცეულიყო მრავალი იმგვარი მცნებებიც. დანგრეულიყო მისი სამოთხე და მის აღვილას თვითეულ მუსულმანს გამოედგა ყოველ წელს 40 ვედრა სასმელი.

* *

წარსულ კვირას „საშობლო ცის“ მარნიდან ერთი

პაშნიკი «არგონავტს» ქადა, მის „ზოილსაც“ შევთავაზე ამ კაშნის პირი დაუწვევს არარატის კიდობნის ყვავებისათვის, ამიტომ გასაგრილებლით მოვალეო ვთვლი ჩემთავს ახლა ეს ტკბილეულობა მიერთეა: ასე რა და მრავალს

ერთი ყვავი-ყვეჩილია მან მიწოდებომ ასე მემოგების წარა-მარა, იმურის მიღების იუდიდივი ასე. მიდა ფასი კი—ერთი ფარა! დევზუ ფევერი ასე ინული მაჭახელას არ მოვალეონთ, მცნ ტკბილი მისამის ისა იარ დავხარჯავთ წამალს მისთვის, აუდის უცილ მია რერთი გუდა ნიორი ვვაქვს ამძღვებონ ხა იძეულ ამისთანა მეგობრისთვის. ასე იარებ ინდისტრიული ასე შემარგონებულის ბაქაზე ზის. მისომ ამუცინობები მამოული მისი „შეიფ-გენერალი“, ას მიმოტევი ხა იძეცის აგი ქავენკი რომ ვერ მიერთეთ იცხის იმცველ მიმიტომ არის ჩვენზე მწყრალი. (იურეთ ა. ც.) ას იურინევი, ყვახალიავ, გადა დემოდენის მისამართ ასე ფართო არეს ცა და მიწა, იცხ უცი იგი . მნიშვნელოვან მიტრენდე, ვიდრე „არგონავტი“ დელიშინ ხა მცდო სართულ შუა გზაზე არ დაგიწვა! ბერძო უცილის მინამონ მაგრამ მზისკენ არ წახილე, ას იტელ რეიონ მის უციუცებ ფრთხები არ დაიწვა, ას— იარებ ცე იძეცის და ჩვენც ნურას დაგვაბრალებ, დაუფრინ მიმოს ცე უცითუ „კალბაჭი“ დაგეფხიწა! ასე იურეთ ამისთანა უცილენტონ სამოგო ცე იურეთ ასე იძეცი ეურნალ-გაშეთებიდან.

5 დეკემბერი ლირსალსანიშნავი დღე ჩვენი პრესი ცხოვრებაში ამ დღეს ორივე ჩვენი ყოველდღიური გაზეთი ახალი რედაქტორების ხელმოწერილი გამოვიდა და მომავალში მათ ფირმებთან გვექნება საქმე. სხვა კითხვაა, მოყვება თუ არა ახალი რამე ამ ახალ ფირმებს.

სწორეთ ერთი წლის წინეთ („კვალი“ № 50) ჩვენ გაზეთში აღნიშული იყო გან ხლებული „ცნობის ფურცლის“ საპროგრამო წერილი, თითქმის სავსებით მოყვავი ნილი, და შემდეგი შენიშვნით პალოფედონა ამონაწერი: „აი, ამ მეტათ საჭარო პროგრამის განხორციელებას გვპირდება რედაქტიკა („ცნ. ფ.“-ის) და ჩვენც უსურევებო ამ გზაზე შეუჩერებლათ სიარულს. ჩვენ გვწამს, რომ ჩვენში აშენდება ერთი რიგინი ყოველდღიური გაზეთის გამოცემა და დევ ასეთი გაზეთი იყოს „ცნობის ფურცლელი“. ასეთი თანაგრძნობით შეხვდა ჩვენი რედაქტიკა განხდებული გაზეთის პროგრამის, მაგრამ მალე გაუკარულდა მეტ დი და „იძულებული შეიქანა ლენიშნა (ივნისში) ამ გაზეთის აზრთა წინაღმდევობა და უსაფუძლებლიბა მისი მეთაურის ბ. არჩ. ჯორჯაძის წერილების გარჩევით (იბ. ნ. ურნდანის წერილები), გაეიდა შემდევ ამისა, დრო და უამა და უკანასკნელ ხანებში „სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო „ცნ. ცე ფურც.“ იძულებული შეაქნა დროებით შეწყვეტა ბასი მკითხველებთან“, რის მიზეზი ჩვენ მიერ აღნიშული წერილი და კონკრეტული საზოგადოების არჩევნების შესახებ შეუთან მებლობა შეიქნა. მას შემდევ მხოლოდ დღეს „მიერა-შეძლება სევე დაუბრუნდეს შეწყვეტილ ბასს“ და ცდილობების გაფართოება კართულ გაზეთებში, ისე საშობლო ცის „მარნიდან ერთი კართულ კვირაში გამართა მათ შესახებ, როგორც აქა ურნალ კართულ გაზეთებში, ისე საშობლო ცის „მარნიდან ერთი კართულ კვირაში გამართა მათ შესახებში...“

ამისთვის მოყავს ზოგიერთი ადგილები „შარშანდელი“ პროგრამილან და იმეორებს: „ამავე პროგრამაზე, ამავე პოზიციაზე ვღებევართ - ჩვენ დღესაც და არც მარცხნივ და არც მარჯვნივ მიწევა არ დაგვჭირვებიან“.

კარგია წლის თავზე მაინც კარგი ნათქების გამეო-
რება, და რამდენათაც განახლებული ცენტრის ფურც-
ლის» კულავ განახლებული ოედაცია იმ პროგრამის და-
აგება, ჩვენც სიამოვნების მეტი არა დაგვიჩენიარა, მაგ-
რამ სამწუხარო და სავალალო ის არის, რომ მთელი
წლის განმავლობაში ვერ შეხვდებით ამ პროგრამის გან-
ხორციელებას და ვაი თუ კიდევ განახლება დაჭრდეს და
ისიც „მარტო საპროგრამო წერილის გასამეორებლათ!...
დამახასიათებელია ის მოვლენაც, რომ საქმია იყო ეპ-
ზეთს ორა-სამი კვირით შევწყვიტა მკითხველთან ბაასი
და საზოგადოებაში და გაზეობებში შითქმა-მოთექმა შეიქანა,
არა მარცნით დაწია და არა მარჯვნიოთ. ნუ თუ მთე-
ლი წლის განმავლობაში იმდენათ შაინც ვერ გამოიკვე-
გა გაზეობა ფიზიონომია, რომ ორი კვირა დახსოვებოდათ
მის მკითხველებს! საქმეც ის არის, რომ ვერა. არ ფი-
ცოდით, რა იყო ეს რედაქტია, თუ ბ. ჯორჯაძე არაა
მისი გამომხატველი, და რომ არაა, ეს იმ შენიშვნებიდა
ნაც ჩანს, რომლებიც ხშირათ დაყობოდა ხოლმე ბ. არ.
ჯორჯაძის წერილებს. მკითხველი საზოგადოებისთვის სა-
სურველი და საინტერესო უფრო ის არის, რომ გაზეობ-
ებითი სახე, ერთი აზრი, ერთი მიმართულება ქონდეს და
იცოდეს ვისთან აქვს საქმე.

საკიროთ მიგვაჩნია შოთაყვანოთ შარშანდელი პრო-
გრამილან რამდენიმე სტრიქონი და თვით მკითხველებს
მიენიჭოთ, რამდენათ ეთანხმება იგინი ბ. ჯორჯაძის ნა-
წერებს.

«საგლეხო რეფორმაშ შესტრატეგიული ცსოვრების ეკონომიკური საფუძველით და შექმნის შირობები ისელის ცხოვრებისა, ფინანსური წეს-წერილება, დაფუძნებული ხატურადურ მეურნეობას, იმდება და ნებ-ნება ადგიდს უთმობს სავაჭრო-ს-მრაველო წას-წერილებას. ქს სოციალური ცილინდრი იწვევს ჩვენი ცხოვრების გეოლი მსარეულის შეცვლასც». რამდენიმეაც ეპონომიური საფუძველით განვიტრიცებელი, გამოურჩევების-გაუმდებარებელია, იმდენათ ზედ შენობაც განვიტრიცებელია და და და სისიათდება გარდამავალ პოლის ჩვეულებრივის ნაშენებით...

«ჩვენი ქავების განვითარება და ემორჩილა უკრობის გული.
ტურის ეკლია უციის ქანონს და იმპერ ზეით უნდა წავიდეს წინ.
აქვთ ირკვევა ჩვენი პროცესის ქრთი მსარე; სედი შევუწი
უორ ემორპიელ მოწინავე დღებისა და საუკათხეო მისაწრაოვა
ბათა გაცნობა-შევთანხმდას და გაცრელდას; ოჯად-უარი კა
დკვირთ ჩვენი ცის თვალების განვითარებას ასაფი განონის გავ
დების ქვეშ და აკსენტ უკავებდა მოგვენა იმ მსარით, თუ რა-
მდებარ ეთანასძება იგი ჩატოთ პროგრესიულ გზას, ან რამდე-
ნათ ეწინააღმდეგება მას».

სხვისა. რა მოგახსენოთ და ჩენი აზრით ეს ბ. ჯორ
ჯაძის ნაწერები და ეს სიტყვები ისე გვანან ერთმანეთს,
როგორც ბულბული და... ქამები. ა. ჯორჯაძის გა
ზეთზე ამ სიტყვების წარწერა, ძროხაზე შედგმული უნა
გირია! და რალა საჭიროა ასეთი შეუფერებელი შეერ
ოება. შეგვატყობინეთ ვინ ხართ, ის რაც წლის განმავ
ლობაში იყავით, თუ ამ გამეორებული პროგრამის მიმ
დევარნი? ნუ თუ ასე ძნელია?...

უფრო გულახდილია «იურიის» ახალი რედაქცია. მართალია, მას საპროგრამო წერილი არ დაუბეჭდიას, მაგრამ საპროგრამო განცხადება კი დაგვანახეა. ხშირათ უსაყველურებდენ ამ მოხუცებაზეთს: მასალის არ გვაძლევო. ახალ რედაქციის უგრძენია ამ საყველურის საფუძვლიანობა და თავის განცხადებაში გვეუბნება, «უორმატი ნებას არ გვაძლევდა საჭირო საგნებისა და საზოგადო საკითხებისთვის ჯეროვანი ადგილი დაგვეთმოვო». არა ერთ-ხელ უარუყვია ამ გაზეთს ისევითომდა უმართლო, ბრალდება, რომ ის განსაკუთრებულ ყურადღებას სასოფლო მეურნეობას აქცევდა (ნამეტურ ბ-ნ Plebs-ის პირით), ახლა კი გულახდილათ გვეუბნება, „განსაკუთრებული ყურადღებით მოვეპყრობით ჩვენ სასოფლო-სამეურნეო საკითხებსაც“. იარაქალა, მოხუცო რედაქციაც! მოგვწონს გულახდილობა, რომელიც უფრო ახალგაზდებს უნდა ემჩინდეს, მეტაზოგიან ჩვენ წამხდარ დოლში მოხუცებს შეგრჩენიათ! ციცით მაინც, ვისთან გვექნება საქმე, ოლინდის კი ვერ მოვივიდათ კარგი, რომ უშინაარსობა ფორმატის სიპატარავეს დაბრიალეთ! ნეტავი რა ეყარა იმ პატარა ფორმატში და როდის გეტეტებოდათ მასალა, რომა თქვენივე რედაქტორის წერილებიც კი სანატრელი გაგხდომიათ?!

ქართული თეატრი

კვირას, 2. დეკემბერს, წარმოადგინეს „მეორეთ გა-
ყმაშვილება“, პიესა ქართული ოეატრისა და „საზოგა-
დოებისთვის“ დიდი ხანია ნაცნობი, მარა კვირის საზო-
გადოებისთვის, მისი უმრავლესობისთვის მაინც, ახალი და
უცნობი, რადგან თვით ეს „ბალხი“ ახალია ჩვენი თეატ-
რისთვის. ის ამდენქანს არ ჩანდა, დაკარგული იყო და
მხოლოდ „საზოგადოების“ გაქცევამ მოანახვია ჩვენ მე-
თაურებს. მართლაც, ვისაც ქართულ თეატრში უვლია
წინანდელ სეზონებში და ახლანდელის დასაწყისში ის აქ
ბევრ ნაცნობს ეეღარ ნახავს, თაცქმის სულ ახალი სახე-
ები, გარეშე განუშორებელი რეპარტიორებისა და ერთი
ორი მუდმივ მოსიარულისა. თეოთ წარმოადგინის დროსაც
ამჩნევთ, რომ „ხალხისთვის“ თეატრი ახალი საქმეა; ყო-
ველი მოძრაობა, ყოველი მოქმედება, შესაფერ კომენტა-
რიებს და შენიშვნებს იწვევს მაყურებელში, ამ „ხალხის-
თვის“ სცენა სინამდვილეა, და ისეთივე თანაგრძნობით
და ზიზღით ხვდება მოთამაშეს, როგორც ცხოვრებაში მო-
ექცეოდა. ჯერ არც სათეატრო დისტიპლინა აქვს საკმა-
ოთ შემუშავებული, არც ნამდვილი ხელოვნების გემოთ გა-
დებული. ეს ვიმეორებ სულ ახალი «ხალხია» ჩვენი თეა-
ტრისთვის, ის წვრილი ვაჟარი, ნოქარი, მესაკუთრე,
რომელიც იძულებით იყო დაშორებული თეატრს ხელმი-
უწდომლობის გამო. და სასიამოენო სანახავია, როცა თი-
თქმის საცხე დარბაზი ერთი კაცივით ტირის, როცა გმირს
განსაცდელში ხედავს და იცინის და მხირულებს, ტაშის
კურით დარბაზს ანძრებს, როცა გმირი გმირულათ იქცევა,
როცა კეთილი იმარჯვებს ბოროტჩე. უნდა გენახათ, რა
იყო თეატრი, როცა გაორმგიმ (მათთირიშვილი) მოკლა მა-
მის სიყვარულის ახალი საგანი, რომელმაც გააუბედურა
დედა და ოჯახი რა სიამოვნებით ამოისუნთქა ამ ახალმა
«საზოგადოებამ» და რა კმაყოფილი დარჩა ასეთი დასა-
რულით, უნდა გრინახათ იგივე თეატრი პიესის დასასრულოვნების

როცა მკვლელი-გიორგი ტიმირში გამგზავრების წინ ეთხოვება მშობლებს საპატიმროს ოთახში; როგორ ტიროდა და ქვითინებდა ეს სავსე დარბაზი, და დაიჯერებთ, რომ ამ ახალი საზოგადოების გრძნობა-გონება ჯერ სრულიათ ხელშეუხებელია. როგორც ვთქვით, ასე თუ ისე ღრამატიულმა საზოგადოებამ გამონახა ეს ახალი „ხალხი“ და საჭიროა ისარგებლოს მისი სიახლით. კვირას რიგიანი პიესა იყო და რიგიანათაც შეასრულეს. — ყველაზე უფრო ქ. კარგარეთელი სუსტობდა უკანასკნელ მოქმედებამდე, მაგრამ ბოლოს ისიც შევიღა როლში, თუ კი საზოგადოთ შეუძლია მე არტისტ ქალს როლში შესვლა და წარმოდგენა რიგიანათ დაასრულეს. კარგი იყო ბ. გუნია, საუცხოვო იყო ქ. ჩერქეზიშვილისა გამდებრის პატარა როლში.

გალუსტოვის ორი თუ სამ სანახავიანი ვოდევილი „არყადის საღილა“ ჩვენი ქარვასლელი ნოქტების ცხოვრებიდანაა აღებული და საქმაო სასაცილო იქნება, რომ ცოტა გაჭიანურებული არ იყოს. ვოდევილში საუცხოვო იყო ქ. აწყურელი.

ხუთშაბათს, 6 დეკემბერს, ქ. კარგარეთელის საბენეფისოთ წარმოადგინეს მეორეთ ამ სეზონში ზუდერმანის „პატიოსნება“ ვლ. მესხიშვილის მონაწილეობით და ჩვეულებრივ, უფრო მესხიშვილის ბენეფისი იყო ვადრე პატიოცემული არტისტი ქალისა. არც ელეონორას როლია (ასრულებდა ქ. კარგარეთელი) ისეთი, რომ ის ამ არტისტ ქალს თავის საბენეფისოთ აერჩია, თუ მისმა სიპატარავე და მასთან კეთილვა ტიპი არ აარჩევინა. რასაკირველია, საჭიროა არტისტი თავის ძალების მიხდვით ირჩევდეს როლს, მაგრამ ვერც იმას ვიტყვით, რომ მობენეფისებ ეს პატარა როლი უნაკლულოთ შეასრულა. მესხიშვილზე საზოგადოთ ქების მეტი არა გვეთქის, ჩვეულებრივ კარგი იყო და კარგი.

თვით პიესა კი ჩვენი საზოგადოებისთვის, მიუხედავათ შინაარსიანობისა, ჩვენი აზრით ცოტა მოსაწყენიც არის, რადგან თვით გერმანელთა ცხოვრება და ხასიათი ჩვენ, სამხრეთის ხალხისთვის ღუნე და მოსაწყენი ტემპისაა.

ყოველ შემთხვევაში ასეთი პიესების დადგმა ჯობს-ვიდრე ისეთი, როგორითაც, მაგალითთ, დღეს უპირეშენ გამასპინძლებას ახალ საზოგადოებას. დიდ შეცდომათ მიგვაჩინა „პატარა კახის“ დღესითვის დანიშვნა. ვიმეორებთ, საჭიროა ნუ იბოროტმოქმედებს გამგეობა «ხალხის» გულუბრვებილობით, და გონიერი და აზრიანი საზრდო მიაწოდოს.

1 დეკემბერს იმავე ქართულ თეატრში ბ. ფ. ქორიძემ გამართა კონცერტი, თავისი ქართული ხოროთი. ხორომ უმთავრესათ გურული სიმღერები შეასრულა, საზოგადოთ არა ურიგოთ. უფრო მოწონათ ორ-სართულიანი ფერხული, ინდი-მინდი და სხვ. საზოგადოება ძალიან ცოტა დაესწრო.

ხა აროვინცილან

(წერა-კითხვის გამგების მოქმედების შესახებ).

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება დიალ მეტათ სიმპატიური საზოგადოება ქართველებისა-

ფის განურჩეველათ წოდებისა და მიმართულებისა მოღვაწეობის ასპარეზიც, როგორც მკითხველი „კვალიში“ (№ 43) მოყვანილი წესდების მუხლებიდანაც დაინახავდა, საკმაოთ ფართე. წერა-კითხვის გავრცელება ქართველთა შორის, და ამ მიზნის მისაღწევათ სკოლების, სამკითხველოების, მასწავლებელთა კურსების დარსება, სახელმძღვანელო და სხ. წიგნების გამოცემა და ხალხში მოფენა, — ყოველივე ეს, რაც წესდებით უკის-რნია წერა-კითხვის საზოგადოებას, თუ ერთათ-ერთი არა, სწორეთ პირველ-ხარისხოვანი საგანია ჩვენი ხალხის გამოფხილებისათვის გონებრივათ და მასში თვით-ცნობიერების გავრცელებისათვის.

მაგრამ... იმ პირთ, ვინც ამ საზოგადოების სათავში იღებენ, ვერ ვიტყვით, რომ დღიდან ამ საზოგადოების დაასტებისა გაეკეთებინოთ ის, რის გაეკეთებაც შეიძლებოდა. გვწამს და გვჯერა, ათასი შინაური და გარეგანი მიზეზები ხელს უშლიდენ საზოგადოების გამგეობას თავისს მოქმედებაში... არ გვჯერა (ვინც რა უნდა გვიმტკიცოს) საზოგადოების გამგეობას ყოველივე საშუალება ეხმაროს, ყოველ-გვარი ღონე ეღონოს, ყოველი, დიდი და წვრილი, გზები ეძებოს, რათა თავის მიერ აღებული საქმე მეტის ნაყოფიერებით ეწარმოების. «კვალის» შინაური მიმომხილველის სამართლიანის სიტყვისა არ იყოს, ამას მაშინ ვიჩუმენებდით, როცა „გამგეობა საქმით გვიჩვენებს“, რომ რისამე გაკეთების სურვილი მაინც ქონდა და თავის მხრით არც ცდა და გვდია („კვალი“ № 44).

მთელი ათი წლის განმავლობაში მარტო ერთათ-ერთი სკოლა გაუსწიათ, უკვე დაასტებული სკოლებიც ისე ვერ მოუწყვით ჟენდანი, რომ მეტი რიცხვი მოსწავლეთა მიეზიდათ და სწავლის საქმეც ჩინებულით ყოფილიყოს დაყენებული. ის კი არა ბათომის სკოლაში (რომელსაც ისე, როგორც კავკავისასაც, ინახავს აღვილობრ. საზოგადოება) რომელშიაც სწავლობენ 225 ყმაწვილები, მარტო ორი მასწავლებელი ყავს გამგეობას, ას ბავშთან ერთი მასწავლებლის მეტადნეობას არსად არ მოაქვს სასურველი ნაყოფი, და ჩვენ რაღა ისეთები გამოვებით, რომ ეს ჩვენთვის შესაძლებელი იყოს. ან მოსწავლეები უნდა შეებრალებია გამგეობას, ან მასწავლებელნი.

საშუალება არა გვაქვსო, — სულ ამას გაიძახიან. მევამტკიცებ: მეტ საქმეს, მეტ ენერგიას, მეტ თავ-გამოდებას ნაკისრ საქმის სამსახურის დროს რომ ხედავდეს მოთავეებში ქართველობა, იგი მეტ საშუალებასაც მიაწვდიდა საზოგადოებას. ამასთან შესაფერი აგენტებიც რომ ყოლოდა გამგეობას სხვა-და-სხვა საქართველოს ქალაქებსა, დაბებსა და სოფლებში, მეტი წევრებიც ეყოლებოდა საზოგადოებას და მეტი საწევრო და სხ. ფულიც შემოუვიდოდა მას. რაც წერა-კითხვაზე, სწავლა-განათლებაზე კლაბარიკობთ, აეიღოთ მაგალითათ მასწავლებელთა წრე. მე მგონია, რომ სოფლის და ქალაქის დაბალ და საშუალ სასწავლებელთა ქართველ შეგნიბედ მასწავლებელთა რიცხვი ათასს აღემატება (საქართველოს საექსარხოსოს მარტო სამ ეპარქიაში (გურია-სამეგრელოს, იმერეთისა და ქართლ-კახეთისა) ირიცხება სულ 526 საეკლესიო სამრევლო სკოლა), რომელთაგან თოთვეული, რაც უნდა სიღარიბეს იტანდეს თვითონ, არ

დაიზარებს გამოილოს ყოველ-წლობით (საშუალო რიცხვით) თავის წლიური ჯამაგირის $1\frac{1}{2}\% - 1\%$. დაუმატეთ ამას შევნებულ მღვდელთა რიცხვიც. მარტო ამ ორ წელი როდინ შემოსული საშუალება საკმარისია თუ არი ვერა, ერთი ფრიად კარგათ დაყენებული და მრავალ-მოსწავლოვანი ახალი სკოლა შეინახოს.

რაკი იმდენს ვერრას აკეთებდა საზოგადოების გამგეობა, რამდენის ქმნაც მას გადაუჭარბებლათ მოეთხოვება, — ამიტომ აღმართ, ვიმეორებოთ, ქართველმა საზოგადოებამაც ცოტა გულგრილათ დაუწყო ყურება და ნაკლებ მატერიალურ დახმარების აძლევს. ამაში სრულიად ვეთანხმებით იმავე „კვალის“ მიმომხილველს, ბათუმის და კავკავის სკოლის კომიტეტები ამ მხრით უფრო მარჯვეთ იქცევიან და კიდევაც ადგილობრივი საზოგადოებანი იმდენათ ზურგს უმაგრებენ, რომ ხშირათ მარტო ადგილობრივ საზოგადოებაში შეკრებილი ფული სკოლასაც უძლვებოდა და ხანდისხან ზედმეტიც რჩებოდა.

წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის მოღვაწეობას ამ ბოლო ღრუს უფრო აკადემიური ხასიათი ქონდა... ჩვენი ქვეყნისათვის ესეც საჭიროა, მაგრამ ეს პირდაპირი მიზანი ხომ არ არის მოხსენებულის საზოგადოებისა. ხოლო ამდენ ხანს ერთი ახალი სკოლა ვერ გაუხსნიათ. დღეს, როცა სამურზაყანოელთა და მეგრელთა ბავშები ათას-ნაირ ღობე-ყორეს ეტანებიან, რომ ქართული წერა-კითხვა შეისწავლონ, ზუგდილის „მაზრის ერთ-ერთ ინგურის პირათ მდებარე სოფელში, ასეთს განაპირო აღგილას, სკოლა რომ გაეხსნა გამგეობას თავის დროზე განა მეტათ სასარგებლო არ იქნებოდა? (ამაზე ერთი მოხსენებაც იყო გაგზავნილი, თუ მიზანს მიაღწია, რომელიც, უყურადღებოთ იქმნა დატოვებული).

ვთქვათ საკუთარი სკოლის გახსნას გარეშე მიზეზები აბრკალებენ ახლა. მაგრამ არსებულ სკოლების დახმარებაც ხომ წერა-კითხ. საზოგადოების მიზანს შეაღვენს. მოგეხსენებათ ყველგან ისსწება ახლა საკულესიო სკოლები, რომლებთაგან უსაშუალობისა გამობევრი მარტო ქალალდზე არსებობს. აი, ამისთანა სკოლებს რომ გაუწიოს დახმარება წერა-კითხვის საზოგადოებამ, შეთანხმდეს სასწავლებელთა საბჭოებთან, გაუგზავნოს ასეთ სკოლებს რიგიანი ჯამაგირით რიგიანი მასწავლებლები, მე მონია დღევანდელ გარემოებაში, — ეს სულ ადეილი შესაძლებელია და ძლიერ საჭიროც, განსაკუთრებით ვურია-სამეგრელოსათვის.

ვისურეოთ, რომ წერა-კითხვის გამგეობას შემდეგში მაინც მეტი სიმკვირცხლე და ენერგია გამოეჩინოს ქართველთა შორის წერა-კითხვის გასავრცელებლათ.

3. ჟ-ია.

წერილები რედაქციის მიმართ.

ქ-ნო რედაქტორ! ნება მიბომეთ თქეენი გაზეთის საშეადებით მაღლობა გამოკუცხადო ქ. ოზურგეთში მცხოვრებ ხამხედრო ეჭმის, ბ-ნ დ. გოგავს, რომელმაც თხანახმათ ჩემი წინადაღებისა, იგისრა ავ თმუთვ მოხსენედოთ უსასეიდლოთ გასინჯვა და წამლების გამოწერა ჩემ მიერ ქ. ოზურგეთში ასად დარწევებულ საქადებო სასწავლებელში. სხენებულ სასწავლებელს, როგორც ასად დაწეულებულ საჭმეს, ჯერ-ჯერთით საშეადება არა აქვს, რომ ექმეს სასეიდლი აძლიოს; მეორე

მსრით ექმის მაწინა აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, რადგანაც მოსწავლი ქალებში აკამძინულია მეტათ სშირი მოკლენა და ამასთან აუცილებელია გასინჯვა და წამლების გამოწერა; გარდა ამისა პატივუფელი უქმი შეგვიძლდა, რომ იგი უოკელ საჭიროების ღრუსი ინას ელების სსენებულ სასწავლებელში მოსწავლე ბავშების, რაგორც თვით სასწავლებელში, ისე თავიათ ბინებულად, ასეთი თანაგრძნებისათვის დიდი მაღლობის და პატივისცემის ღირსა ბ-ნი გოგა. (მიმდინარე მარტივი მარკინი) ისე და ისე სასწავლებლის გამგზადა, გ. ბოლქვებული.

ქ-ნო რედაქტორ! ნება მოგვიცით თქეენი გაზეთის საშეადებით უდინებელი მაღლობა გამოკუცხადოთ ბ. ისაებ ლეგავას, რომელიც გვიგზავნიდა დალტაში მიმდინარე წელს „გადას“ „მოგზაურს“ და „მწევეს“. „

მეღვინეობის უმაღლესი კურსების მსმენელი გონდრატი გაიჩინა.

მას წინათ ქ-ნი გოგოდი ბერებისას აცხადებდა 『გვარი』, № 22 1899 წ., რომ სოფ. ასაღმენში გამართულ წარმოდგენიდან შემოსული 25 მან. საესკით გადავცი ახალშენის ეპგლების მღვდ. ანტონ გალანდებესთ. მაგრამ ჯერ ამ უკულის არავერთ უნასავს სკოლას, რომელსაც იგი უნდა მოსმარებოდა. გარდა იზამდა, ვისაც შექმნა, რომ გაგვაგებიერეს ამ უკულის ბედს.

ბიუნტი ლომითითი.

რედაქტორ-გამომც. ან. თ-წერეთლისა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი.

ვართული თეატრი.

კვირას, 9. დეკემბერს 1901 წ.

ი თ ა ზ ა ს ი ა ნ ი ზ ა რ მ ა მ დ ა დ ვ ე ნ ი ა

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება

I.

ქ ა ც დ ა რ ა ბ ა ნ ი

ისტორიული დრამა 5 მოქმ. აკაკი წერეთლისა.

II.

დ უ ე ლ ი

გოგოვილი 1 მოქმ., თარგ. 6. გალუსტიოვის მიერ.

მონაწილეობენ: ქ-ნი: ჩერქეზიშვილი, ნებიერიძისა, მლივანი, ლევავა. ბბ.: გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გელევანვი, შათირიშვილი, აწყურელი, ურუშაძე, მირიანშვილი, იმედაშვილი და სხვ.

დასაწყისა სწორეთ 8 საათზე. ფასები დაკლებულია.

რეჟისორი ვ. გუნია.

მზადება 3. აბაზიძის საბენეფისოთ 『უცნაური ხაფანგი』 და 『უშიშარი რაინდი』.

მიმღება ხელი მოწერა 1902 წლისათვის

სამოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო
სასახლის გაზეთი

“ბ 3 თ”
(წელიწად მეთე)

გამოვა 1902 წელსაც ყოველ კვირა დღეს, ერთიან სამ
ასახვისათვის თაბახამდე.

წლის განმავლობაში „კვალში“ დაისტუდება მეცნიერებების საუკუნის მოდაწეო სურათები (ეკვიპის, რუსთის და ჩვენის) მათი ბიონიკური მოდელით. განხატურუბული უკადება მიეცვა ქართველ მოგაწეს.

გაზეთი წლიურათ ღის თვილისში 7 მან., თვილის გარეთ 8 მან., ნახევარი წლით თვილისში 3 მ. 50 კ. თვილის გარეთ 4 მან., ხოლო სამი თვით 2 მან. თითო ნომერი სამი შური, აღმოს გამოცვლა თვილის გარე ღის თვით აბაზი.

სეზის მომწერლებს შემდეგათ წლის უკადება ნაწილით. შემთხოვნის:

წელის-მოწერა მიღება: თვილისში, წერა-კონტენტის საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქადაგ-ზენური ქარგისალი), რკინის გზის სადაურზე — პრეზრა კადასის სუფეტში ესტ. წეარტი-შეკლთან და ტრი „გადატაში“, რედაქციაში, თატრის ქადაგზე, № 12.

ქაზიაში: მოწროთან ლალისტან და კ. ბეჭანიშვილის წიგნის მაღაზიაში; ჰათუშში კ. თავართელიაშის წეგნის მაღაზაში და სახალხო უფასო სამგოთხევლოში; ოზურგეთში და ახალ სენაგში კ. თავართელიაშის შედაზებში; ჭიათურაში კალისტრაზე ჭიათურებან და ბერიძეთან; უკრიალაში ივანე ალიშვილთან. დაბა ხომში — სახალხო სამგოთხევლოში.

ფოსტის აღრესი: თიფლის. რედაქცია „კვალი“.

მიღება ხელის მოწერა 1902 წლისათვის

„მოაგე“- „ცემბის ვურცელი“

სურათებისათვის დაგამართვით:

ყოველ დღიური უკადება „მოაგე“

(წელიწად მეშვე)

ფასი ექვივალენტის გაგებით:

კავკასიაში და რუსეთში:	საზღვარ-გარეთ:
1 წლით	10 გ. 1 წლით
6 თვით	6 თვით
3 ”	3 ”

ყოველ დღიური განვითარება „ცემბის ვურცელი“

(წელიწად მეშვე)

ფასი განვითარების გაგებით:

კავკასიაში და რუსეთში:	საზღვარ-გარეთ:
1 წლით	1 წლით
6 თვით	6 თვით
3 ”	1 ”

კინკ „მოაგე“ მთელი წლით გამოიწერს, „ცემბის ვურცელი“ უფასო გაეგზავნება, მხოლოდ ქალი გარეთ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მან., რომელიც ხელის მოწერისთანავე უნდა იქმნეს შემოტანილი.

სურათებისათვის დაგამართვა გაეგზავნება მხოლოდ თრივი და გამოცემაზე ხელის მომწერი. წლიური ფასის განვითარება სამივე გამოცემაზე კარგველათ — 6 მ., 1-ლ მარტამდე — 5 მ., 1 აგვისტომდე — 2 მ., 1-ლ მარტამდე — 3 მ., 1 აგვისტომდე — 1 მ.

განცხადება ფასი: 1-ლ დურდებისტრიქტი — 10 კ., მა-4 ზე — 5 კ. უ განცხადება 3 ჯერ მეტა დაიგებება, მაგნ და ბურჯა ნულები ეღრუა.

რედაქცია და ფასტორა იმუფება ვანჭის ღიდ ქუჩაზე.
მოსტის აღრესი: თიფლის, ვ. რედაქცია „მოაგე“ და „ცინიცის პურცელი“.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 8 Декабря 1901 г.

Открыта подпись на 1902 годъ, IX годъ издания.
НА ЕЖЕНЕДЕЛЬНУЮ ГАЗЕТУ

„Кавказское Сельское Хозяйство“

органъ Импер. Кавк. общества сельского хозяйства.
Газета выходитъ по четвергамъ, безъ предварительной
цензуры, по слѣдующей программѣ:

1. Руководящія статьи по техническимъ и экономическимъ вопросамъ сельского хозяйства Кавказа.
2. Популярные статьи (оригинальныя и переводныя) по полеводству, молочному хозяйству, садоводству, виноградарству и винодѣлію, шелководству, лѣсобородству, техническимъ производствамъ и проч.
3. Хроника и корреспонденціи.
4. Отчеты хозяевъ о произведенныхъ ими въ своихъ хозяйствахъ опытахъ и наблюденіяхъ.
5. Обзоръ литературы, русской и иностранной, по вопросамъ, относящимся къ Кавказу.
6. Сельско-хозяйственный статистический и рыночный свѣдѣнія о производствѣ и потребленіи сельско-хоз. продуктовъ, о видахъ на урожай, о цѣнахъ на продукты, тарифы.
7. Правительственные распоряженія.
8. Протоколы, доклады и отчеты общества и его органовъ.
9. Критика и библиографія.
10. Вопросы и отвѣты.
11. Сельско-хозяйственный календарь.
12. Домоводство.
13. Справочный указатель.
14. Смѣсь.
15. Метеорологическая наблюденія.
16. Объявленія.

ЗАДАЧА ГАЗЕТЫ заключается въ установлении болѣе живой и тѣсной связи между обществомъ сельского хозяйства и хозяевами Кавказа, съ цѣлью, во первыхъ, совмѣстной разработки сельско-хозяйственныхъ вопросовъ Кавказа и во вторыхъ, распространенія среди населенія необходимыхъ сельско-хозяйственныхъ знаній.

Въ отдѣлѣ „Вопросы и отвѣты“ газета, при содѣйствіи специалистовъ, будетъ своевременно давать хозяевамъ отвѣты на тѣ вопросы, съ которыми они будутъ обращаться въ редакцію или общество сельского хозяйства.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА ст. доставкой и пересылкой: на годъ — 4 руб., полгода — 2 руб., 3 мѣс. — 1 руб. и 1 мѣсяцъ — 40 коп.

Подпись принимается въ Тифлисѣ, въ бюро Импер. Кавк. общ. сел. хоз., Барятинская ул., собст. домъ.

Отвѣтственный редакторъ А. А. Калантарь.

Съ разрѣшения главнаго управлениа по дѣламъ печати,
подчинена подписьная плата

на

„НОВОЕ ОБОЗРѢНИЕ“.

Какъ для городскихъ, такъ и для иногородныхъ подпісчиковъ подписьная плата: за годъ — 7 р., за полгода — 4 р., 3 мѣс. — 2 р., 50 к., 2 мѣс. — 2 р., 1 мѣс. — 1 р.; отдѣльный № въ Тифлисѣ — 3 к., вънъ Тифлиса — 5 коп.

Допускается разсрочка платежа: къ 1-му января — 4 р., къ 1-му июня — 3 р.

Для сельскихъ учителей, народныхъ и школьныхъ библиотекъ и благотворительныхъ учрежденій сделана скидка: год. плата для иногородныхъ — 6 р., для городскихъ — 5 руб.

Программа газеты, сотрудники и другія условія изданія останутся прежнія.

Подпись принимается не иначе, какъ считая съ 1-го числа каждого мѣсяца. Подпись принимается въ Тифлисѣ, въ конторѣ газеты, Барятинская ул., д. № 8.

Редакторъ Г. М. Тумановъ, издат. К. М. Тумановъ

სტამა. პ. ა. მარტინისის ცინიცის ქ. № 1—2.